პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 29 ოქტომბერი № 255 (16685) ფასი 2 კაპ. 1976

გუშინ, 28 ოქტომბერს კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

კამათში გამოსული დეპუტატები განიხილავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს.

უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

28 ოქტომბერს კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. დეპუტატები განიხილავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს და აღნიშნავენ, რომ ეს გეგმები შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, ითვალისწინებს თვითეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სპეციფიკურ თავისებურებებსა და მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფს მათს პარმონიულ განვითარებას. სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად შემუშავებული მეათე ხუთწლედი ნაყოფიერი მასშტაბისა და დიდ ეკონომიურ შესაძლებლობათა ხუთწლედია.

სესიის მონაწილენი ერთსულოვნად უსვამენ ხაზს, რომ კომუნიზმისთვის ბრძოლის დიადი ფრონტის ყველა უბანზე საბჭოთა ხალხის გარმატებანი უზრუნველყო ბრძნულმა ლენინურმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო და მისი მეთაური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ახორციელებენ.

დეპუტატთა გამოსვლები განმსჭვალულია ზრუნვით საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კავშირის საბჭოში

კავშირის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 27 ოქტომბერს საღამოს. დეპუტატები განიხილავდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართული პლენუმის დიდი მნიშვნელობა. საბჭოთა ადამიანებმა, ხაზგასმით აღნიშნავენ ისინი, უდიდესი ინტერესით გაეცნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშნაარსიან სტატიას, რომელიც მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წაიკითხა. ამ სიტყვაში ამომწურავად არის „გაანალიზებული ყველა საშინაო ცხოვრება და საერთაშორისო ვითარება, შეჯამებული სკკპ XXV ყრილობის შემდეგ პარტიის მრავალმხრივი საქმიანობის შედეგები. სიტყვაში ასახულია ზოგადი ხაზები და გამოტანილია დიდმნიშვნელოვანი დასკვნები თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების აქტუალურ საკითხებზე, პოლიტიკური შეფასება ეძლევა მეათე ხუთწლედის ამოცანებისადმი. წამოყენებულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებათა შესრულებისათვის პარტიისა და ხალხის მოქმედების გაშლილი პროგრამა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ფართოდ მოწვეული პლენუმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის განსაკუთრებით ინდმნშვნელოვანი სიტყვა ამ პლენუმზე, ამბობენ დეპუტატები, ეფუძნებ პარტიასა და ხალხს რაზმავს ამოცანებს, რომ უფრო სრულად გამოიყენონ ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში მეურნეობის გაძლიერების სოციალისტური მეთოდები, მაბების შრომითი ენთუზიაზმისა და პატრიოტიზმის დიადი ძალა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საბჭოთა მთავრობამ, რომლებიც ჩვენი პარტიის ლენინურ გამოცდილებას, ნებასა და გონებას განასახიერებენ, დიდი ნაყოფიერი მუშაობა გაწიეს ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

ორატორები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდ როლს ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში და ხაზს უსვამენ მისი ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩვენი პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის უდიდეს დამსახურებას, რომელმაც მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელი ბრძოლით საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მხურვალე სიყვარული და აღიარება მოიხვეჭა.

ყველა ორატორის წინადადებას დაამტკიცონ გეგმებისა და ბიუჯეტის პროექტები, ამასთან გაითვალისწინონ კავშირის საბჭოს საგეგმო-სამეურნეო, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის შენიშვნები და შესწორებები.

კამათი გახსნა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ნ. ო. ვასილიევმა. მან დაასახელა ციფრები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის განვითარების მასშტაბსა და ტემპს ახასიათებს.

ორატორმა თქვა, რომ დაჩქარებული ტემპით ითვისებენ ნავთობისა და გაზის საბადოებს კომის ასს რესპუბლიკაში, ნავთობის საბადოებს — პერმის ოლქში, ბაზასს — ორენბურგის ოლქში. კურსკის მაგნიტური ანომალიის ზონაში, ციმბირში გაგრძელდება მსხვილი ტერიტორიული საწარმოო კომპლექსების შექმნა. ბამის ცალკეული უბნების მშენებლობის დამთავრების კვალობაზე ათვისებული იქნება ამ ზონის ბუნებრივი რესურსები.

ნ. ო. ვასილიევმა ილაპარაკა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების პრობლემებზე. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ საჭიროა გაიზარდოს მეცხოველეობაში შრომის მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების წარმოება, გაკაჩტიკა საკავშირო სამშენებლო სამინისტროები, რომელთა ორგანიზაციები ვერ ასრულებენ საიჯარო სამუშაოთა გეგმებს არაშავიწყნიადაგიანი ზონის ობიექტებზე.

დეპუტატმა განსაკუთრებული უურადღება დაუთმო ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების ის ნაწილებს, რომლებშიც სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამაა მოცემული.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. თ. ვატჩენკომ ილაპარაკა მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე. მნიშვნელოვნად გაიზრდება მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი, 18 მილიარდი მანეთით და მეტად გადიდდება ეროვნული შემოსავალი, მესამედით გაიზრდება სარეწველო წარმოების მოცულობა.

ხუთწლედის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული უნარიან ორგანიზატორულ მუშაობაზე, რეზერვების გამოყენებაზე, ამაზე, თუ როგორ მოეკიდება საქმეს თვითეული მუშაკი, როგორ გაიმლება საყოველთაო სახალხო შეჯიბრება. ა. თ. ვატჩენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეგმების შესრულებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნებათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, და კონკრეტული მაგალითებით ცხადყო საბჭოების გაზრდილი როლი, დეპუტატთა სტატუსის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

ორატორმა მთელი რიგი შენიშვნები გამოთქვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, შავი მეტალურგიის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის, გზათა სამინისტროების, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს მიმართ.

აზიახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. ა. ამიმოვმა აღნიშნა, რომ ხუთწლედის პირველი წლის განვლილი პერიოდის შედეგები დამაჯერებლად ადასტურებს პარტიის მიერ დასახული პროგრამის რეალურობას. რესპუბლიკამ მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ეხრა თვის გეგმა შეასრულა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოო სმძლავრეთა გამოყენება, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი, გაუმჯობესდა ხარისხი.

მოსავლის აღების გადამწყვეტ პერიოდში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლამ რესპუბლიკაში, მისმა საყურადღებო რჩევა-დარიგებებმა, რომლებიც პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე მოგვცა ალმა-ათაში, განაგრძო დეპუტატმა, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის დიდი აღმავლობა გამოიწვია, ფასდაუდებელი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ უმაგალითოდ მოკლე ვადაში დაგვემთავრებინა მკა. მხვნელ-მთესველებმა პირნათლად შეასრულეს ქვეყნის, პარტიის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის მიცემული სიტყვა. სამშობლოს ბეღლებში ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, უკანასკნელი მონაცემებით, მილიარდ 190 მილიონი ფუთი მარცვლეული შეინახეს, უმთავრესად საგაზაფხულო ხორბალი, თქვა შეკრებილთა ტაშის ქარიალში ბ. ა. ამიმოვმა. ამდენი პური რესპუბლიკამ პირველად არის დამზადებული.

მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ი. ი. ბოდიულმა თქვა, რომ ხუთწლიანი გეგმის, 1977 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები ითვალისწინებს შრომის შემდგომ შიდადარგობრივ საერთო-საკავშირო დანაწილებას, რესპუბლიკებს, მზარეულსა

(გაგრძელება მე-2 გვ.)

სკკპ XXV ყრილობის კურსით

„რაც პარტიამ დაგვისახა — შევასრულებთ!" — ასეთია ერთსულოვანი გადაწყვეტილება

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიური პროგრამისა და საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაციისათვის. ისინი ხასელმძღვანელად აღიქვამენ იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ხუთათზე: სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი მ. ჯავაშვილი (ცენტრში) მესამე აგროფენის მუშათა ჯგუფს აცნობს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ს. პილაძის ფოტო

მთავარია ეფექტიანობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების კავშირის, განმტკიცებას წარმოებასთან, აღნიშნა, რომ როგორც მეცნიერებმა, ისე წარმოების მუშაკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს ამ ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. ეს ჩვენი მაგალითითაც ნათლად დასტურდება. მარტო 1976 წელს სახალხო მეურნეობაში საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ მეცნიერული კვლევის პრაქტიკული რეალიზაციისაგან მიღებული ეკონომიური ეფექტიანობა დაახლოებით 5 მილიონ მანეთს შეადგენს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ინსტიტუტში შემუშავებულია ვოლფრამით მცირე ლეგირებული ახალი ეფექტიანი კომპოზიციური ლითონკერამიკული სალი შენადნობები. მათგან დამზადებული საჭრელი ინსტრუმენტი ამჟამად საწარმოო გამოცდას გადის დნეპროპეტროვსკის, ტაგანროგის, პერვოურალსკის მსხვილი მეტალურგიული საწარმოების მილების წარმოებაში.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წელს დამთავრდება კომპლექსური მექანიზებული ხაზის ამოქმედების სამუშაოები, რომელიც მილების ბოლოებს დაამუშავებს 140 დგანზე მათი გლინვის დროს. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემუშავებული ახალი ტექნოლოგიის დანერგვა მნიშვნელოვნად აამაღლებს მუშათა შრომის ნაყოფიერებას, გაუმჯობესებს მილების დამუშავებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე ხუთწლედში მანქანათმშენებლობის დარგში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხელის შრომის მექანიზაციის საშუალებათა წარმოებას, მაღალმწარმოებლური ლითონდამამუშავებელი მოწყობილობის გამოშვების გადიდებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროგრამული მართვის ჭერტიკალური სალარავი ჩარხების მართვის ადაპტიური სისტემა, რომელიც შექმნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმფრინავთმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრების სპეციალისტებმა სამეფინერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის", თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშაკებთან ერთად.

მეცნიერების კავშირი წარმოებასთან კვლავაც აამაღლებს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის ეფექტიანობას.

თ. ლოლაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, (საქინფორმი).

პარტიის მოწოდების პასუხად

ჟარხნის ყველა მუშაკი რიგითი მუშა იქნება თუ ოსტატი, საამქროს უფროსი თუ ინჟინერ-ტექნიკოსი, გულდასმით ეცნობა პლენუმის მასალებს. ისინი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოთქვამენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის გიგანტური საქმიანობის გამო.

წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია X ხუთწლედის პირველი წლის დაკალებათა შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომით, ახალი მიჯნებისაკენ ბოგვიწოდებს. სწორედ ამიტომ ჩემს თანამოსაქმეებთან ერთად გადავწყვეტეთ: მინის № 1 სახარშავი ღუმელის გეგმიერი შეკეთებისათვის განკუთვნილ დროში რაციონალურად წარვმართოთ ტემპერატურული რეჟიმი, „გაკალიეროთ ფილაქტიკა და მისი მუშობა ათი დღით გავახანგრძლივოთ, რაც საშუალებას მოგვცემს ადრე ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით ეაწარმოოთ ორნახევარი მილიონი მინის ქილა. ეს კი ფულადი გამოსახულებით 100.000 მანეთის პროდუქციაა. ჟარხნის პარტიულომ და დირექციამ მხარი დაუჭირეს ჩვენს გადაწყვეტილებას, რომლის შესრულებასაც უკვე შეუდექით.

ი. მაჩიტაძე,
ჟუთაისის მინიტარის ქარხნის სამანქანო-საღუმელე ხაამქროს მუშა.

ლითონი ძვირად ფასობს

ვიმუშაოთ უკეთ, ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, ვიმუშაოთ მაქსიმალური ნაყოფიერებით! სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დაყენებულ ამ ლოზუნგს ენთუზიაზმით გამოეხმაურა კიროველ ჩარხმშენებელთა კოლექტივი, რომელსაც ეფექტიანი შრომის დიდი ტრადიციები აქვს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის ჩარხმშენებლების — ნიშნავ. როგორც ცნობილია, ლითონზე მოთხოვნები დღითიდღე მატულობს და ეს ზრდა რესურსების გამოყენებას უსწრებს, ამიტომ ლითონი ძვირად ფასობს.

ჩარხმშენებლები კარგა ხანია ლითონის ეკონომიის მკაცრ რეჟიმს იცავენ. ჩვენი შეჯიბრება, რომელიც მომიჯნავე პროფესიების დაუფლების ეძყარება, ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი დიდი რეზერვია. მომიჯნავე პროფესიების კარგი დაუფლება იმას ნიშნავს, რომ ნაჭედი ლითონებიდან დეტალები ყოველთვის მინიმალური დანაკარგებით გამოიჭრება, გამოიჩარხება, გამოხარატდება. ჩვენი ვალია ყველა ეს საქმე პროფესიული ოსტატობით შეეასრულოთ. ასეთია სადღესო მოთხოვნა.

ბ. გარსევანიშვილი,
თბილისის ჩარხსაშენებელი გაერთიანების ხათავო საწარმოს მრანდავი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

ქართველ მეცნიერთა გულისთქმა

ჩვენ ხელთა გვაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი ძვირფასი შენაძენი — ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე. ეს სიტყვა ეუმშარიტად უტყუარი კომპასია მთელს ჩვენს მუშობაში, ლენინური გეზია პარტიის XXV ყრილობის დიად წინასწარდასახულთა განხორციელებისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში.

დიდი შეფასება, რაც საბჭოთა მეცნიერებს, კერძოდ მეცნიერებათა ორგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ აკადემიებს მისცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, ყოველ ჩვენგანს აღფრთოვანებას ახალი შემოქმედებითი ძიებისა და აღმაჩენებისათვის, მეცნიერულ კვლევათა ეფექტიანობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მეცნიერები, მათი შტაბი — აკადემია, მისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ყველაფერს იღონებენ მეცნიერების ფუნდამენტური დარგების განვითარებისათვის და წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებისათვის. სამრეწველო საწარმოებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ჩვენს მეცნიერებს საპროგრამოდ მიაჩნიათ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული ამოცანა: ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის!

ვ. მახალდიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ვუპასუხებთ საქმით

საქართველოს მხვნელ-მთესველთა წარმატება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიწიეს და შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

დამამზადებელ პუნქტებში მიღებულია 200 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, რაც 80 ათასი ტონით აღემატება 1976 წლისათვის დადგენილ შესყიდვის მოცულობას. სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გრძელდება.

ახლა რესპუბლიკის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები თავდადებით იღვწიან, რათა რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ხიმინჯის, შაქრის ჭარხლის, უყრძნისა და სხვა კულტურების მოსავლის აღება, მოემზადონ და წარმატებით ჩაატარონ პირუტყვის გამოზამთრება, შეასრულონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და შესყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

სამშობლოს ჯილდოები გადაეცათ

28 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ ლენინის ორდენი და მეორე ოქროს მედალი „ნამგალი და ურო" გადასცა სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. ვ. კოვალენკოს. სამშობლოს ეს მაღალი ჯილდო ა. ვ. კოვალენკოს მიენიჭა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისა და იმისათვის, რომ შრომითი მამაცობა გამოიჩინა ნაკისრი მაღალი ვალდებულებების შესრულებაში — 1976 წელს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო" გადაეცა სსრ კავშირის საქმე მასალათა მრეწველობის მინისტრს ი. ა. გრიშმანოვს.

ლენინის ორდენი გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ი. პ. რიაბოვს. სამშობლოს მაღალი ჯილდო მას მიენიჭა წარმატებებისათვის, რომლებიც მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაშია მიღწეული სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის დროს.

ლენინის ორდენები გადაეცათ სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ი. ა. ბოდარენკოს, სკკპ კურგანის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს თ. კ. ცხიზიეს და სხვებს.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიიღეს სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. გ. ვოროპაევმა, სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კ. ლიგაჩევმა, სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ა. ტაბეევმა.

ნ. ვ. პოდგორნინმ გულთბილად და გულთამდად მიულოცა დაჯილდოებულთ, ახალი წარმატებები უსურვა მათ შრომაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

დაჯილდოებულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. მათ აღუთქვეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა უზრუნველყონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულება. (სატასი).

დღეს იწყება რუსული მუსიკის ფესტივალი საქართველოში

ხელოვნების და ძმობის ზეიმი

დღეს საქართველოს ქალაქებში საზეიმოდ დაიწყება რუსული მუსიკის ფესტივალი. რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო მოვლენაა. ორი ხალხის, რუსთა და ქართველთა სულიერი, კულტურული ურთიერთობა ის მყარი საფუძველია, რომელმაც საბჭოთა ეპოქაში უმნიშვნელოვანესი ნაყოფი გამოიღო, შემაერთებელ მყარ ხიდად იქცა და უამრავი სიკეთე მოიტანა. ერთა სულიერი ცხოვრება ხალხთა ლენინური მეგობრობის უდიდესი მადლიანი გავლენით ახალახალ ფერებად გაბრწყინდა და ურთიერთგამდიდრების ბედნიერებას ეზიარა.

მეგობრობის ამ ძვირფას მატიანეში დიდი როლი და მნიშვნელობა განეკუთვნება მუსიკას. სიცოცხლისადმი სწრაფვა, მუსიკალური ენით სულის ურთულესი ნიუანსების გამოხატვა, ენით, რომელსაც თარჯიმანი არა სჭირდება, მეგობარი ერებისათვის იმთავითვე იქცა მათი სულის რაობის ერთ-ერთ უპირველეს წასაკითხ წიგნად. საქართველოში რუსულმა სიმღერამ, პროფესიულმა მუსიკამ მადლიანი ნიადაგი ჰპოვა. დღეს წარმოუდგენელია, რომ საქართველოს თეატრებში და საკონცერტო დარბაზებში არ ეღერდეს ჩაიკოვსკის, გლინკას, მუსორგსკის, ბოროდინის, დარგომიჟსკის და წარსულის სხვა ბრწყინვალე კომპოზიტორთა მუსიკა. რუსი საბჭოთა კომპოზიტორების შოსტაკოვიჩის, კაბალევსკის, დუნაევსკის, ხრენიკოვის, შჩედრინის მუსიკა.

ბევრი ქართველი ცალკეული მუსიკოს-შემსრულებლისა და მთელი კოლექტივების — ანსამბლებისა და ორკესტრების, მუსიკალური თეატრების რეპერტუარში მყარად დამკვიდრდა რუსული მუსიკა და ბევრი გულშემატკივარი, მოყვარული, თაყვანისმცემელი იპოვნა.

დღეს ფესტივალის პირველ დღეს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვა მოსკოვის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და იურლოვის სახელმწიფო კაპელა;

ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრი გამართავს სპექტაკლს, წარმოდგენილი იქნება დ. შოსტაკოვიჩის ოპერა „ცხვირი" (გოგოლის მოთხრობის მიხედვით).

სოხუმში გაიმართება საბჭოთა სიმღერის კონცერტი, რომლის პროგრამაშია ი. ფრენკელისა და ო. ფელცმანის ნაწარმოებები.

ბათუმში მოისმენენ კომპოზიტორ ვ. სოლოვიოვ-სედოის სიმღერებს.

ცხინვალში რუსული კლასიკური მუსიკის. პროგრამით გამოვა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი.

თელავში — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, მოსკოველ ბიჭუნათა გუნდი, მოსკოვისა და ლენინგრადის ფილარმონიის სოლისტები. შემდეგ ფესტივალი ეწვევა ქუთაისს. რუსთავს. ახალციხეს, ბორჯომს.

საქართველოში განსაკუთრებულია და საგულისხმო იმითაც, რომ ეწყობა მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შემდეგ. რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა მოღვაწეობას.

იწყება ხელოვნების ზეიმი, დიდი მუსიკალური დღესასწაული, რომელსაც საბჭოთა საქართველოს მშრომელები თაიგულებით, ხელგაშლილად, გულგაშლილად ეგებებიან.

ჩვენი გულითადი სალამი ჩვენს ძვირფას სტუმრებს — რუსული მუსიკის ფესტივალის მონაწილეებს.

ხურაბაზე: რუსული მუსიკის ფესტივალის მონაწილე მოსკოვის კამერული თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი თბილისში, სასტუმრო „აჭარასთან".

ვლ. გინზბურგის ფოტო.

1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

ჩვენს ქვეყანაში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრება, თქვა ვ. თ. გარბუზოვმა, მიმდინარეობს საერთო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში, რომ წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიის ლენინური კურსი ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც საბჭოთა ხალხი ყრილობის გადაწყვეტილებებს შეხვდა, მთელი დამაჯერებლობით ადასტურებს პარტიის კურსის სისწორესა და ცხოველმყოფლობას, კიდევ ერთხელ ცხადყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, მის შეკავშირებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას ერთგული ლენინელი, თანამედროვეობის გამორჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალური კეთილდღეობის ზრდისათვის. დამთავრდა ხელფასის მინიმუმის მომატება და საწარმოო სფეროს საშუალოხელფასიან მუშაკთა სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების გადიდება. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში 1976 წელს იწყება არასაწარმოო დარგებში ხელფასის მომატება. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდის ზრდის საფუძველზე კიდევ უფრო განვითარდა სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა, გადიდდა სახელმწიფო ასიგნებანი პენსიების, დახმარების, სტიპენდიების გაცემისათვის. მიმდინარე წელს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 3,7 პროცენტით გაიზრდება.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდამ და მიყიდვის გადიდებამ საშუალება მოგვცა უკეთ დაგვეკმაყოფილებინა მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნა. საცალო საქონელბრუნვა 1976 წელს 4,1 პროცენტით გაიზრდება.

პარტიის ფართო სოციალური პროგრამის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია საბინაო მშენებლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბით ხორციელდება. მიმდინარე წელს საბინაო პირობებს გაუმჯობესებენ 11 მილიონი კაცი.

სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულების, ეროვნული შემოსავლის ზრდის, აგრეთვე რეზერვების დამატებითი მობილიზაციისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა საფუძველზე უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შესრულდება 227,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც გეგმის 101,0 პროცენტს შეადგენს, ხოლო გასავლის ნაწილში— 224,6 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 99,7 პროცენტით. შემოსავალი გასავალს 3,1 მილიარდი მანეთით გადააჭარბებს.

სახალხო მეურნეობის განვითარების განვლილი პერიოდის შედეგები ყველა საფუძველს გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ, რომ 1976 წლის საგეგმო დავალებანი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება. ეს მტკიცე საფუძველს შეუქმნის 1977 წელს — მეათე ხუთწლედის მეორე წელს ახალი წარმატებების მიღწევას.

სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემუშავებულია სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ პრინციპული მითითებების საფუძველზე, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების, კომუნისტური მშენებლობის, საერთაშორისო ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო პრობლემებს შეეხება, თქვა შემდეგ ვ. თ. გარბუზოვმა. გეგმასა და ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც 26 ოქტომბერს დაამთავრა მუშაობა, ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ღრმად და მკაფიოდ არის განლაზებული განვლილ პერიოდში საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი მუშაობის შედეგები, მოცემულია მნიშვნელოვანი განზოგადებანი და დასკვნები თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძირეულ პრობლემებზე და წამოყენებულია პარტიისა და ხალხის პრაქტიკული მოქმედების ვრცელი პროგრამა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, მეათე ხუთწლედის, 1977 წლის გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებების შესაბამისად და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი შემოსავლის ნაწილში წარმოდგენილია 238,8 მილიარდი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში — 238,6 მილიარდი მანეთის ოდენობით. შემოსავალი გასავალს 200 მილიონი მანეთით აღემატება.

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების 1977 წლის მოგება გათვალისწინებულია 114,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 8,2 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. მოგებიდან წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის, ეკონომიური სტიმულირებისა და სხვა საგეგმო ხარჯებისათვის საწარმოთა განკარგულებაში რჩება 43,7 მილიარდი მანეთი.

ბრუნვის გადასახადი საქონლის წარმოების, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებთა შესაბამისად 4,1 პროცენტით გაიზრდება. კოლმეურნეობების სამეფოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია 0,7 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მოსახლეობისაგან სახელმწიფო გადასახადები გამოანგარიშებულია ხელფასის ფონდისა და გადასახადების მოქმედი განაკვეთების სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ საფუძველზე. მათი საერთო თანხა შეადგენს 20,9 მილიარდ მანეთს, ბიუჯეტის შემოსავლის 8,7 პროცენტს.

კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამას, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა. 1977 წელს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებებს 6,8 მილიარდი მანეთი მოხმარდება.

ახალი ხუთწლედის სოციალური პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მოხმარების საზოგადებრივ ფონდებს, რომელთა საერთო თანხა 1977 წელს შეადგენს 99 მილიარდ მანეთს, ანუ 4,8 პროცენტით მეტს, ვიდრე მიმდინარე წელს. ეს სახსრები საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გაგაუმთავრო ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და განათლება, საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა. 16,8 მილიარდი მანეთი გამოყოფილი 112 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართის ბინა-სოფლებისათვის.

სახალხო მეურნეობის დაფინანსებას ბიუჯეტიდან, საწარმოთა საკუთარი სახსრებისა და კრედიტის ხარჯზე მომავალ წელს მოხმარდება 251 მილიარდი მანეთი, ესე იგი 1976 წელთან შედარებით 4,4 პროცენტით გაიზრდება. დიდი მასშტაბით განხორციელდება მრეწველობის არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ახლის მშენებლობა, თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ტექნიკური განახლება.

მრეწველობისა და ტრანსპორტის დაფინანსების ნაწილში აღნიშნულია, რომ 1977 წლის გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების მყარი ზრდა. ბიუჯეტის, საწარმოების სახსრებისა და კრედიტის ხარჯზე მრეწველობის დაფინანსებისათვის გამოიყოფა 128,9 მილიარდი მანეთი.

დაბანდებათა ძირითადი ნაწილი — 108 მილიარდ მანეთზე მეტი მძიმე ინდუსტრიას — სოციალისტური ეკონომიის საფუძველს მოხმარდება. მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას მოხმარდება 20,8 მილიარდი მანეთი.

1977 წელს თანამიმდევრულად განხორციელდება პარტიის კურსი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენებას. 1977 წელს მრეწველობის ძირითადი ფონდები დაახლოებით 25 მილიარდი მანეთით უნდა გაზრდილ, და მათი საერთო მოცულობა 400 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს, ეს ჩვენი სოციალისტური საშობლოს უდიდესი სიმდიდრეა, და კომუნისტური პარტია მოითხოვს მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ იგი.

პარტიის XXV ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მატერიალური რესურსების რაციონალური და ყაირათიანი გამოყენების საკითხებს, მათს ხარჯვამი მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებას. 1977 წელს გათვალისწინებულია თვი მოეუყაროთ დაახლოებით 1,5 მილიარდ მანეთს მარტო მატერიალური დანახარჯების ეკონომიას, პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისა და ნედლეულის ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვის, ეკონომიურ სახმოვნებათა მასალების უფრო ფართო გამოყენების გზით.

შეეხო რა სოფლის მეურნეობის დაფინანსებას, ვ. თ. გარბუზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული არსებითი ძვრები უკანასკნელ წლების მანძილზე პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური შედეგია. სკკპ XXV ყრილობამ დასახა ამოცანა უზრუნველყოფილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საამიდო ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობის ყოვლისმაღი ამაღლება.

სოფლის მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ.

1977 წელს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბიუჯეტის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საკუთარი სახსრების, აგრეთვე კრედიტის ხარჯზე გამოიყოფა 40,9 მილიარდი მანეთი, ანუ 5,7 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1977 წელს შეადგენს 21,9 მილიარდ მანეთს. გარდა ამისა, კოლმეურნეობები საკუთარი სახსრებისა და სსრ კავშირის სახბანკის კრედიტების ხარჯზე კაპიტალურ მშენებლობას მოახმარენ 10,5 მილიარდ მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მყარი ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმების მილიორაციას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ახლახან მიღებულ დადგენილებაში დასახეს, რომ მიათვ ხუთწლედში თერთო მასშტაბით განხორციელდეს მოწმების მელიორაცია, ირიგაციისა და წყალმიმოცვლის ტექნიკური სრულყოფა და ამოშრობილი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების, ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მისაღებიანობის ყოველი ღონისძიებით გაფართოების ამოცანა.

დიდი მასშტაბით გაგრძელდება რუსეთის სფსრ რესპუბლიკის არაშავმიწანიდაგიან ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის სამუშაოები. სოფლის მეურნეობის ეკონომიის შემდგომი განვითარებისათვის ქვეყნის ამ უდიდეს რაიონში გამოიყოფა 4,6 მილიარდი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკაში სოფლ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სოფლის მეურნეობის ოროული და მაღალფეტრანი მომარაგება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმების განხორციელებაში უდიდესი როლი ეკუთვნის კაპიტალურ მშენებლობას, ნათქვამია მოხსენების მომდევნო ნაწილში მონაწილეობის მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

1977 წელს გაიზრდება მოქმედი საწარმოების ტექნიკური გადახალინება, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დანახარჯების წილი. ეს დანახარჯები საწარმოო მშენებლობისათვის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 53.4 პროცენტს შეადგენს.

მოხსენების ნაწილში ავიაციისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაფინანსების შესახებ ნათქვამია, რომ 1977 წელს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 4.8 პროცენტით გაიზრდება და 228 მილიარდ მანეთს შეადგენს. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაცია გაიზრდება 7,3 პროცენტით და 6,3 მილიარდ მანეთს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეროვნებათა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის ქვეყნის ამ უდიდეს რაიონში გამოიყოფა 4,6 მილიარდი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკაში სოფლ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სოფლის მეურნეობის ოროული და მაღალფეტრანი მომარაგება.

ეროვნებათა საბჭოში

28 ოქტომბერს 10 საათზე პალატების სხდომათა დარბაზში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ვ. პ. რუბენის** თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, დ. თ. უსტინოვს, პ. მ. მაშეროვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ვ. ზიმიანინს.**

სესიის მონაწილეებმა ფიზიკურ ადგომით პატივი სცეს დეპუტატების ი. ს. გროსულისა და გ. ს. ძოწენიძის ხსოვნას, რომლებიც სესიიდან სესიამდე განვლილ პერიოდში გარდაიცვალნენ.

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის **ე. ა. შევარდნაძის** მოხსენება გამრკლებულთა ნაცვლად სამანდატო კომისიის მიერ არჩეული დეპუტატების რწმუნებულებათა შემოწმების შესახებ.

ეროვნებათა საბჭომ უფლებამოსილად ცნო ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები ე. კ. ოკასი, რომელიც არჩეულია ესტონეთის სსრ ტალინის ცენტრალურ საარჩევნო ოლქში, და ზ. ა. პატარიძე, რომელიც არჩეულია საქართველოს სსრ გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თანამოზსენება გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ი. მასლენიკოვმა.**

კომისიებმა წამოაყენეს წინადადება მთლიანად მოიწონონ ხუთწლიანი გეგმა, აგრეთვე კომისიების წინადადებათა გათვალისწინებით — 1977 წლის გეგმა.

კომისიებმა წამოაყენეს წინადადება გეგმის შესწორებათა გათვალისწინებით 1977 წლისათვის ბიუჯეტის შემოსავალი გაადიდონ 132 მილიონი მანეთით.

ნ. ი. მასლენიკოვმა წამოაყენა წინადადება შესწორებათა გათვალისწინებით დაამტკიცონ სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 238.939.972 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში — 238.732.458 ათასი მანეთის ოდენობით, სადაც შემოსავალი 207.514 ათასი მანეთით აღემატება გასავალს, აგრეთვე დაამტკიცონ ანგარიში სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ ეროვნებათა საბჭოში დაიწყო კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თანამოზსენება გაკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ი. მასლენიკოვმა.**

კომისიებმა წამოაყენეს წინადადება მთლიანად მოიწონონ ხუთწლიანი გეგმა, აგრეთვე კომისიების წინადადებათა გათვალისწინებით — 1977 წლის გეგმა.

კომისიებმა წამოაყენეს წინადადება გეგმის შესწორებათა გათვალისწინებით 1977 წლისათვის ბიუჯეტის შემოსავალი გაადიდონ 132 მილიონი მანეთით.

ნ. ი. მასლენიკოვმა წამოაყენა წინადადება შესწორებათა გათვალისწინებით დაამტკიცონ სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 238.939.972 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში — 238.732.458 ათასი მანეთის ოდენობით, სადაც შემოსავალი 207.514 ათასი მანეთით აღემატება გასავალს, აგრეთვე დაამტკიცონ ანგარიში სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დეპუტატები ალნიშნავენ, რომ ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა

(გაგრძელება)

და ოლქებს შორის კოოპერაციის ვაფართოებასა და ეკონომიური ინტეგრაციის გაძლიერებას, მათს ჰარმონიულ განვითარებას.

განვლილი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივ შემადგენლობაში. მუშათა რიცხვი გაიზარდა, კოლმეურნეთა რიცხვი კი შემცირდა. ამასთან მთლიანი წარმოება საკოლმეურნეო სექტორში გაიზარდა. დეპუტატმა თქვა, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა მოლდავეთში წარმატებით სრულდება.

მაგრამ, როგორც პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განსაზღვრა, განაგრძო ორატორმა, ჩვენს საზოგადოებრივ წარმოებას გაცილებით მეტი პროდუქციის მოცემა შეუძლია. ამის ერთ-ერთი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი პირობაა წარმოების შეწონასწორებული განვითარება.

რესპუბლიკებსა და ოლქებში შეიქმნა კარგი საწარმოო-დამამზადებელი გასასაღებელი ორგანიზაციები, მაგრამ ისინი დაქსაქსულად მოქმედებენ, არა აქვთ ერთიანი მაკოორდინირებელი ცენტრი. ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას ცენტრალური საწარმოო-დამამზადებელ-გასასაღებელი გაერთიანება.

სესიის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ნ. დ. ხუდაიბერდიევის** განცხადებას, რომ უზბეკეთი შესასრულებს სიტყვას — წელს სამშობლოს მისცემს დაპირებულ 5 მილიონ 300 ათას ტონა „თეთრ ოქროს". მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში ბამბის წარმოება გაიზარდოს 5 მილიონ 800 ათას ტონამდე. ხოლო მებამბეებმა წამოაყენეს შემხვედრი გეგმა — ხუთწლედის დამლევისათვის დაამზადონ ექვსი მილიონი ბამბა. ეს ძნელი, მაგრამ სავსებით რეალური ამოცანაა.

მაგრამ დარგში ჯერ კიდევ არ გადაჭრილა ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემები. მთლიანად რესპუბლიკაში ბამბის კრეფა გრძელდება ორ-ორ თვენახევარს, ხოლო მექანიზებული კრეფის ხვედრითი წონა ჯერჯერობით 50-55 პროცენტს შეადგენს. შემდეგ დეპუტატმა თქვა, რომ საჭიროა მებამბეობის კომპლექსური მექანიზაცია. მას უპირველეს საქმედ მიაჩნია 150-200 ცხენის ძალის სიმძლავრის ბამბის მოდიფიკაციის სახნავი ტრაქტორის შექმნის დაჩქარება და მისი სერიული წარმოების ათვისება. ასეთი ტრაქტორი მეტად საჭიროა ფართოგანაფენი ტექნიკის, ოთხმწყრივა ბამბის საკრეფი მანქანების დასანერგად, ნათესების მწკრივთშორისი დამუშავებისა და მოსავლის კრეფის მთელი რიგი ტექნოლოგიური ოპერაციების შესათავსებლად.

მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე საზოგადებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე, თქვა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დეპუტატმა **რ. ვ. ხოხლოვმა.** ასეთ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

მეცნიერული კვლევის განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები.

დეპუტატმა ხაზი გაუსვა, რომ მეცნიერული მუშაობის მაღალი დონე აუცილებელია სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. უამისოდ შეუძლებელია სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ისეთ პირობებში, როცა მეცნიერება პრაქტიკულად უკვე უშუალო მწარმოებელი ძალა გახდა, უმაღლესი სასწავლებლების მაღალი მეცნიერული პოტენციალი, ორატორის აზრით, უნდა გამოიყენონ გაცილებით უფრო ქმედითად, ვიდრე ახლა. უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერება ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის საჭიროებს და იმსახურებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მეტ ყურადღებას.

დეპუტატმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების ათვისება წარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა სფეროების მიერ.

ამის შემდეგ კავშირის საბჭოს პირველი სხდომა დაიხურა.

ეროვნებათა საბჭოს 10 საათზე პალატების სხდომათა დარბაზში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ვ. პ. რუბენის** თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატებმა ალნიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს ადგილობრივ ორგანოებისა და ეროვნებათა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს

უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

...ორგიზეთის მრეწველობამ ეკონომიკურ...ლ 26 ოქტომბერს შეასრულა ...ეფექციის რეალიზაციის მიმართულ...ლის ცხრა თვის გეგმა. ...ალეპარბებით სრულდება შრომითი ...ნაყოფიერების ზრდის დავალება. მთავარი ყურადღება ეთმობა ხარისხისა და წარმოების ...ეფექტიანობის ამაღლებას. პირველი წარმატებებით აღნიშნეს ...ალი ხუთწლედი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მიღებული ...ა ყველა წლების მანძილზე ...ოდესი მარცვლეულის მთლიანი ...ოსავალი, გადაჭარბებით შესრულდა ბამბის, ბოსტნეულის, სხვა ...სოფლო-სამეურნეო პროდუქციის ...ოსალიანობის გაღლებუბანი. ყოველივე ეს მხოლოდ ...ასაყოფია იმ დიდი მუშაობისა, ...ომელიც მიმდინარე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს.

ა. ს. სუუმბაევმა გამოთქვა რამ...ენიმე მოსაზრება, რომელთა მიზანია ამ ხუთწლედში რესპუბ...ლიკის ინდუსტრიის ზოგიერთი ...ალის დაჩქარებული განვითა...ება.

საბჭოთა მუშები მზად არიან ...ელი ძალ-ღონე, გამოცდილება, ...ონდა მოახმარონ პარტიის დიად ...ალსწარდასახულობათა განხორ...ციელებას, თქვა ულანბის გორბუ...ოვის სახელობის საავიაციო ქარ...ნის მღარავმა დეპუტატმა გ. ა. ...ბაღულინმა.

დეპუტატი სიამაყით ლაპარაკობდა წარმატებებზე, რომლებიც ...ეს მოიპოვეს მენავთობეებმა ...ა ნავთობქიმიკოსებმა, მანქანათ...ენებლებმა და ენერგეტიკოსებმა, ...ბის ავტომერხნსა და ქალაქ ნა...ბერეჟნე ჩელნის მშენებელმა ...ეტიტანებმა. საავიაციო ქარხნის საამქროებში წლითიწლობით ...ელ უფრო მატულობს მაღალ...ეფექტიანი მოწყობილობა, ქარხანაში ფართოვდება მოძრაობა ...როდუქციის ხარისხის ამაღლებისთვის, იზრდება თვითეული ...ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

ამ ეშმარიტად საყოველთაოსახლეო შეჯიბრების წარმატება ...ამოკიდებულია მთელ რიგ ფაქ...ორებზე. თავისი თანამშრომელი ...ანაგების სახელით გ. ა. ასხა...ულინმა სთხოვა ქვეყნის ჩარხმენებლებს დაჩქარებით შექმნან ...ოვე უფრო სრულყოფილი ტექ...ია და ინსტრუმენტები, რომელ...ც საჭიროა მანქანათმშენებლობის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისთვის.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ვ. ა. მარტიროსიანმა აღნიშნა, რომ მეათე ...ოუწლედის გეგმა ქვეყნის საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ...ოტენციალის ზრდის, ხალხის ...ეოლდეგობის შემდგომი გაუმ...ობესების გრანდიოზული პროგ...ამაა.

ორატორმა მოიყვანა ციფრები ...და ფაქტები, რომელიც გვიჩვენებენ მეათე ხუთწლედში სომხეთის სსრ ეკონომიკისა და კულ...ურის განვითარებას.

დიდი ყურადღება დაუთმო დეპუტატმა კაპიტალური მშენებლობის საკითხებს. მან თქვა, კერძოდ, რომ საჭიროა მშენებლობების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემისა და მათი დაფინანსების შემდგომი სრულყოფა. ორატორის აზრით, ახალმშენებლობებისათვის მოწყობილობის მიწოდება უნდა დაეკავშირ ერთ ორგანიზაციას — სსრ კავშირის სახმომარაგებას.

გაზი ჩვეულებრივი სათბობი გახდა ყოველდღიური ყოფაში, მას ნედლეულად იყენებენ ზოგიერთი სამრეწველო საწარმო. ასეთ პირობებში გაზით რეგულარულ მომარაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გაზის მიწოდება რეგულარულად არ ხდება. ორატორმა სთხოვა გაზის სამინისტროს უზრუნველყოს სომხეთის საამქრო მომარაგება გაზით.

გ. ქ. მატიროსიანმა, როგორც ეროვნებათა საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რკინიგზების მუშაობისა და განვითარებას.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობ ი ს სრულყოფაში, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარებაში ჩვენი პარტია და მთავრობა დიდ როლს აკუთვნებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სკოლას, განათლების მთელ სისტემას, თქვა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დეპუტატმა ვ. პ. ელიუტინმა.

სოციალისტური სახელმწიფო არა მარტო ლაპარაკობს ყოველგვარი სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული შეზღუდვების გარეშე ყველა მოქალაქის განათლების თანაბარ უფლებაზე, არამედ უზრუნველყოფს კიდეკაც მის რეალიზაციას.

